ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

20 იანვარი 2025

N 8

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს ხარისხის მართვის სისტემის სრული მონიტორინგის დაწყების თაობაზე

შპს „ცერცვაძე და კომპანია“ (ს/ნ 400054203, იურიდიული მის.: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა N148, ბინა N12) აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში აუდიტორულ ფირმად რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფროსის ბრძანებით და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-301977.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი), გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 6 წელიწადში ერთხელ აუდიტორებისათვის/აუდიტორული ფირმებისათვის და არაუმეტეს 3 წელიწადში ერთხელ იმ აუდიტორებისათვის/აუდიტორული ფირმებისათვის, რომლებიც სდპ-ების და პირველი კატეგორიის საწარმოების აუდიტს ატარებენ.

„ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - მონიტორინგის წესი) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორისათვის და აუდიტორული ფირმისათვის თავდაპირველი მონიტორინგის განხორციელების თარიღის ვადის ათვლა იწყება რეესტრში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან, ხოლო ყოველი განმეორებითი მონიტორინგის განხორციელების თარიღის ვადის ათვლა ხდება მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღიდან.

კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტისა და მონიტორინგის წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მონიტორინგის განხორციელება დაიწყოს კანონით განსაზღვრული ვადებისაგან განსხვავებულ ვადებში, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, წინა მონიტორინგის შედეგების ან/და ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №4-ის ან/და დანართი №5-ის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ან/და მონიტორინგგაუვლელი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სავალდებულო აუდიტის განხორციელებისას) ან/და სამსახურისათვის წარდგენილი წერილის ან/და საჩივრის ან/და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი არის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების

ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის მართვის სისტემის შეფასება.

კანონის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის, მონიტორინგის წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ამავე წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იწყება აუდიტორული ფირმის - შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს (ს/ნ 400054203, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-301977) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგის წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება აუდიტორული ფირმა ან/და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს სუბიექტს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ან/და აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა.

მონიტორინგის წესის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი შედგება შემდეგი ინსპექტორებისგან:

1. ნინო სუდაძე - მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. თორნიკე ძაგნიძე;
3. ნინო თომაძე;
4. დავით სხილაძე;
5. ია გამყრელიძე;
6. ზაური შეყილაძე.

კანონის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის, მონიტორინგის წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველოს ხელმძღვანელის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2025 წლის 20 იანვრის N2027-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა დაიწყოს აუდიტორული ფირმის - შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს (ს/ნ 400054203, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-301977) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი;

2. ბრძანება გაეგზავნოს - შპს „ცერცვაძე და კომპანია“-ს;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/8-16-4-202501201252

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE